მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №1

ქ. მარტვილი 24 იანვარი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 14^{00} სთ-ზე, დამთავრდა 15^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელიზბარ ახვლედიანი, ირინა გადელია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მაგდა შირავა, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ახვლედიანი.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1.„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; /მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, „„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და განუმარტა, რომ ცვლილება ეხებოდა სოციალურად დაუცველ ოჯახის წევრების სამკურნალო თანხებს, კერძოდ: სოციალურად დაუცველ ოჯახის წევრების სამკურნალო თანხები 0–დან 200 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100%–ით, 200 ლარიდან 50%–ით, არანაკლებ 200 ლარისა და არაუმეტეს 5000 ლარისა და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულის მიზანშეწონილობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზაზა რუხაიამ აღნიშნა, რომ ის მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას რომელიც ეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს ს/ქ 0 დან 65000 ჩათვლით რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, „„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების

შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 9. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: .,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ელიზბარ ახვლედიანი